ახალი

# განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული"



განთიადი

90-ე წელია თქვენთან ერთად!

2021 წელი 31 მაისი № 5 № 8168

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com


## გაზაფხულის ყველა ფერი

თანამედროვე მობილური კავშირის ქართულმა კომპანია „მაგთიკომმა" 2021 წლის აპრილში გამოაცხადა ფოტოკონკურსი „გაზაფხულის ყველა ფერი". ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო 2 ფოტოს ავტორი. პორტრეტის ჟანრში გამარჯვებული გახდა ოთარ თაგვიაშვილის ფოტო.



## ფოტოხელოვანი ახლოთ ხედით

გვ9.







## ფაშიზმის დამარცხების 76-ე წლისთავთან დაკავშირებით

გვ3.

## კასპში იუსტიციის სახლი შენდება

გვ2.

## ახალი საბავშვო ბაღები

გვ2.

გვ3.

## გზების რეაბილიტაცია

გვ6.

## ყველა დროის საზრუნავი





## სასურსათო ნობათი იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს

გვ2.

## სააღდგომო ქველმოქმედება

გვ4.

გვ2.

## როცა სამშობლო გიყვარს...



სივრცე შეხვედრებისთვის, კონფერენციებისთვის, იდეების განხორციელებისთვის და დასვენებისთვის

გვ5.





## თაობის აღმზრდელი

გვ7.

## აღმოჩენის მუდმივი პროცესი

გვ5.

## თარიღი კალენდრის ფურცელზე

გვ7.

გვ8.

## კასპის სპორტ-კომპლექსის საჭიდაო დარბაზიდან



რაიონის საგაზეთო ფოტომატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - გამოგვიგზავნეთ წინაპრების ცხოვრების ამსახველი საინტერესო და სახალისო ფოტოები! ერთად გავიხსენოთ, როგორ ვცხოვრობდით ...



## კრივი: საბა ბერიაშვილი — საქართველოს პრიზიორი

გვ7.

გვ7.

## ძმები აბულაძეები – შიდა ქართლის პრიზიორობიდან საქვეყნომდე

# კასპში იუსტიციის სახლი შენდება

სსიპ იუსტიციის სახლის კასპის საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული.

შენობაში შეცვლილია ფანჯრები, მოეწყო გათბობის სისტემა, ამჟამად მიმდინარეობს კედლების დამუშავება, ლესვითი და გარე ფასადის სამუშაოები.

იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 1 380 000 ლარია, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს "სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთი" ახორციელებს.

საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის დასრულება მიმდინარე წლის აგვისტოშია დაგეგმილი. მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურებით, ერთიან სივრცეში ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობის საშუალება მიეცემათ.





# სასურსათო ნობათი იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს



კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე სოფელ თელიანის და მეტეხის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებს ეწვია.

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის სასურსათო ნობათის გაცემის მიმდინარეობას ვახტანგ მაისურაძე ადგილზე გაეცნო და დამდეგი დღესასწაული მიულოცა - ჩვენ ყველა ვალდებული ვართ ვიყოთ თითოეული ოჯახის თანამდგომი და დახმარება გაგიწიოთ შესაძლებლობის ფარგლებში.



კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებული 361 ოჯახისათვის აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სასურსათო ნობათი მოამზადა. საააღდგომო საჩუქარი ოჯახების გარდა თელიანის დასახლების ბავშვებმაც მიიღეს.

კომპანია "გალფის" მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის და ვიცე-პრეზიდენტის ნინო ჯიბლაძის მიერ გამოგზავნილმა გასართობმა ბატუტმა პატარები ძალიან გაახარა.

## სოფელ ქვემო ჭალაში

სოფელ ქვემო ჭალაში გრძელდება საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.



პროექტს სს "სამშენებლო ტრესტი №3" ახორციელებს.

ორსართულიან შენობას სრული რეაბილიტაცია უტარდება. შენობაში შეიცვალა კარ-ფანჯრები, ელექტრო და სასმელი წყლის გაყვანილობა, სველი წერტილები, მოეწყო ცენტრალური გათბობა. შენობაში ამჟამად შიდა სამუშაოები მიმდინარეობს.

რეაბილიტაციის შემდეგ სოფელს ექნება ახალი კომფორტული საბავშვო ბაღი, რაც აღსაზრდელებისა და პედაგოგების პირობებს გააუმჯობესებს. სამუშაოების ღირებულება 284 988 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

# საალდგომო ქველმოქმედება



კასპელმა ბიზნესმენმა და მუნიციპალიტეტის მერიამ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს.

ზურაბ კავაზაშვილმა 10 მრავალშვილიან ოჯახს საჩუქრად გარკვეული თანხა, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიამ საკვები პროდუქტების პაკეტები გადასცეს და აღდგომის დღესასწაული მიულოცეს.

# ახალი საბავშვო ბაღები

## სოფელ გრაკალში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გრაკალში საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულების პროცესშია. სკოლამდელი დაწესებულება აღსაზრდელთა ერთ ჯგუფზე აშენდა, აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, იღჭურვება საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით, მწვანდება ეზო, საბავშვო მოედანზე კი გასართობი საშუალებები მოეწყობა.

სოფლის საბავშვო ბაღი დღემდე ნაქირავებ შენობაშია განთავსებული და ბავშვებისთვის საჭირო პირობებს ვერ აკმაყოფილებს. ახლის მშენებლობა კი დროული და მნიშვნელოვანია.

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია "ხარისხი 2" ახორციელებს, მისი ღირებულება 474 896 ლარია და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სკოლამდელ დაწესებულებებში სათანადო პირობების შექმნა მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია. ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა მალე დასრულდება სოფელ იგოეთსა და სადგურ მეტეხის დასახლებაშიც. საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფელ რენესა და ქვემო ჭალაში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობის პროცესი გაგრძელდება, ყველა პატარას რომ ჰქონდეს ლამაზ გარემოში ყოფნის შესაძლებლობა.



## სოფელ იგოეთში

შპს "ხარისხი" სოფელ იგოეთში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას უახლოეს დღეებში დაასრულებს. მზადაა შენობის შიდა ინტერიერი, მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

საბავშვო ბაღი 2 ჯგუფზე აშენდა და სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კეთილმოწყობილ შენობაში აღსაზრდელებს, პედაგოგებსა და მომსახურე პერსონალს ყველა პირობა ექნებათ.

სააღმზრდელო დაწესებულების სრული რეაბილიტაციის ღირებულება 696 326 ლარია, რომელიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

სოფელს ათეული წლებია საბავშვო ბაღი არ ჰქონდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ იგოეთისა და მრგვალი ჭალის აღსაზრდელები, სკოლამდელი აღზრდის უნარ-ჩვევების მიღებას თანამედროვე სტანდარტების მქონე კეთილმოწყობილ გარემოში შეძლებენ.

ახალი საბავშვო ბაღი შენდება სოფელ გრაკალში, სადგურ მეტეხში, სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფელ ქვემო ჭალაში, თითქმის ახლიდან შენდება სოფელ ზემო რენეში.



# ფაშიზმის დამარცხების 76-ე წლისთავთან დაკავშირებით



ფაშიზმის დამარცხების 76-ე წლისთავთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელებმა პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას. მათ ქალაქში მდებარე 1941-1945 წლების ომის ობელისკი ყვავილებით შეამკეს.

კასპის მუნიციპალიტეტში ამჟამად მეორე მსოფლიო ომის 5 ვეტერანი ცხოვრობს. მუნიციპალიტეტის მერიამ თითოეული მათგანი 1000 ლარით დაასაჩუქრა.

კასპელ ომის ვეტერანებს "კარფურის", "თბილისი მოლის" წარმომადგენლებმა გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სასაჩუქრე პაკეტები გადასცეს.

ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მულოცეს მხარის გუბერნატორმა მამუკა საღარეიშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები 1000 ლარის, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები 500 ლარის ოდენობის ერთჯერად დახმარებას მიიღებენ.

# გამწვანების აქცია კასპში



კასპის მუნიციპალიტეტში ორგანიზაცია CENN-ის ორგანიზებით, კასპი-მეტეხის დამაკავშირებელი გზის ორივე მხარის გამწვანების აქცია მოეწყო.

აქციის ფარგლებში შეიქმნა ალვის ხეების ქარსაცავი ზოლი. 200 ძირი ალვის ხე სოფელ ძევერაში არსებულმა სანერგე მეურნეობა "პოპულუსმა" ქ. გორის მე-12 საჯარო სკოლის ეკოკლუბ "ეკომეგობრებს" გადასცა საჩუქრად, რომელიც სკოლამ კასპის მუნიციპალიტეტის მერიას უსაჩუქრა.

გამწვანების აქციაში მონაწილეობა მიიღეს კასპის სკოლა-გიმნაზიის ეკოკლუბის "მწვანე ელჩები"-ს და გორის მე-12 საჯარო სკოლის ეკოკლუბ "ეკომეგობრები"-ს წევრებმა, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობის" სამსახურის თანამშრომლებმა.

ქარსაცავი ზოლის გაშენების სამუშაო პროცესებში პასუხისმგებლობა ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობის" სამსახურმა აიღო, რომელმაც აქციის დასრულებისთანავე მორწყა დარგული ნერგები.

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, რომელიც თვითონაც მონაწილეობდა აქციაში, მადლობა გადაუხადა CENN-ს და აქციის ყველა მონაწილეს.

აღნიშნულ გარემოსდაცვით აქტივობას ორგანიზება ორგანიზაცია CENN-ის შიდა ქართლის კოორდინატორმა ირმა კიტრიაშვილმა გაუწია.

# გზების რეაბილიტაცია

## იდლეთი



მიმდინარეობს სოფელ იდლეთის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

შპს "ერ ტე დე"-მ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იდლეთში მისასვლელი გზის ასფალტის დაგების სამუშაოები დაასრულა.

აღნიშნული გზის სიგრძე 1 070 გრძივ მეტრია, გზის რეაბილიტაციის ღირებულება კი 349 999 ლარი. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

გზის რეაბილიტაციის დაწყებამდე, შპს "სოფლის წყალმა" 350 გრძივი მეტრი სასმელი წყლის დაზიანებული მილი ამოცვალა. დაზიანებული გზა არაკომფორტული იყო, აფერხებდა ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას. სოფლად მისასვლელი გზების მოწყობა ჩვენთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების უმეტესობა განახლებულია. პროცესს გავაგრძელებთ, ვიდრე ყველა სოფელს მისასვლელი გზა არ მოეწესრიგდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

## ჩობალაური



კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჩობალაურში, ადგილობრივი მნიშვნელობის თბილისი - სენაკი - ლესელიძის ავტობანთან დამაკავშირებელი გზის ასფალტის საფარის სამუშაოები დასრულდა.

გზაზე მოწყობილია რკინა-ბეტონის ღარები ლითონის ცხაურებით.

ავტობანიდან სოფელში მისასვლელ 1500 გრძივ მეტრზე დაიგო ორფენიანი ასფალტ–ბეტონის საფარი. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ ფინანსდება და მასზე 343 232 ლარი იხარჯება.

პროექტით განხორციელებული სამუშაოებით თავდაპირველი მოსარგებლე იქ მცხოვრები 100 ოჯახია. კეთილმოწყობილი გზა მათთვის კომფორტული და უსაფრთხო იქნება. გზების კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

## ზემო რენე



კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ზემო რენეში ადგილობრივი მნიშვნელობის თბილისი - სენაკი - ლესელიძის ავტობანთან დამაკავშირებელ გზაზე ასფალტის საფარის მეორე პირი დაიგო.

ავტობანიდან სოფელში მისასვლელი გზა წლებია დაზიანებული იყო და მოსახლეობას და ტრანსპორტს გადაადგილება უჭირდა.

გზაზე მოეწყო ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. ასფალტირებული გზით მოსახლეობა კმაყოფილია და მადლობას უხდიან დამფინანსებელს, მშენებელს და კასპის მერიას.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტია მუნიციპალიტეტისთვის. სოფლის განვითარებისათვის კი გზა აუცილებელია, ამიტომ დაგეგმილი გვაქვს ყველა სოფლის მისასვლელი გზის კეთილმოწყობა. ამჟამად მუნიციპალიტეტში სოფლების მისასვლელი გზების 85%-ია ასფალტირებული და გავაგრძელებთ დასრულებამდე - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

# ცემენტის ქარხნის უახლოესი ქუჩის მობინადრეებს

კომპანია "ჰაიდელბერგცემენტის" კასპის საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სააღდგომოდ სასურსათო პაკეტები გადაეცათ კასპში, ფარნავაზის ქუჩაზე, მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს.

ეს ქუჩა ყველაზე ახლომდებარეა წარმოებასთან. ასე რომ, ძველებურად "მეზობლური მოკითხვის წესი" ამჯერად აღდგა და კვლავ ძალაშია.

(საკ.ინფორმაცია).

# როცა სამშობლო გიყვარს...

ადვილად შეიძლება წიგნებით და უფრო მეტად ინტერნეტით ყველანაირი ინფორმაციის მიღება და ნახვა, თუმცა არსებობს მუზეუმის ცოცხლად ნახვის ხიბლი, რასაც ვერ შეცვლის თანამედროვე ტექნოლოგიები.

გიორგი მაზნიაშვილის პიროვნებას და დამსახურებებს სამშობლოს წინაშე, როგორც პატრიოტის, მის სამხედრო მოღვაწეობის ისტორიას ყველა იცნობს, მაგრამ ცოტამ თუ იცის მისი ბავშვობისდროინდელი ისტორიული ამბები. ისინი თანასოფლელთა მონათხრობებიდან ვიცით და უნიკალურ ფოტომასალასთან ერთად ინახება მუზეუმში. ამ მასალაში ასახულია გმირის თანამედროვე საქართველოს ცხოვრების საინტერესო, მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტები.

ყოველდღიურობა ვერ ტოვებს ადამიანის ცხოვრებას, გამონაკლისი არც დიდი გენერლის ყოფა ყოფილა. სამშობლოს ისტორიის გააზრებაში, მაშინდელი რეალობის წარმოსახვით გაცოცხლებაში მუზეუმის დათვალიერება დაგეხმარებათ. პიროვნების დახასიათება და მისი ბუნების წარმოჩენა ყველაზე კარგად მის კარ-მიდამოს შეუძლია და ნივთები თავისთავად ახასიათებენ მეპატრონეს.

სახლი, სადაც იზრდებოდა მომავალი გენერალი, არის პატარა, მაგრამ კოპწია, ხუთიოდე კიბით ზევით ასასვლელით, მოჩუქურთმებული აივნით და ორი დიდი ოთახით (სინამდვილეში ოთხად უნდა იყოს გატიხრული). შენობას უკანა მხრიდანაც აკრავს აივანი. სახლს აქვს სარდაფი, რომელსაც პირვანდელი იერ-სახე აქვს შენარჩუნებული და მნახველს აოცებს მასიური ხის თაღოვანი საყრდენებით. მათ ჟამთა ტრიალმა ვერაფერი დააკლო.

სარდაფში ინახება წყლის თიხის მილები, რომელთა საშუალებითაც "ჭოტიას გორიდან" სოფლამდე წყლის გამოყვანა გ. მაზნიაშვილის ინიციატივის და ძალისხმევის შედეგია (წყარო დღემდე არსებობს და ფუნქციონირებს).

სახლი ნაშენებია რიყის ქვით და აქვს ძველად ქართლის სოფლებში გავრცელებული ნაგებობების იერ-სახე. მისი ეზოდან კარგად მოჩანს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც გ. მაზნიაშვილის მიერაა რესტავრირებული. იგი მთელი მისი ცხოვრების მანძილზე "ადგილის დედის", რწმენის და სულიერი საყრდენის როლს ასრულებდა.

მუზეუმის ოთახები ფართო, მაღალჭერიანი და ნათელია. აქ ინახება მაზნიაშვილის ოჯახის ნაქონი ბევრი საყოფაცხოვრებო ნივთი. მათგან გამორჩეულად აღსანიშნავია: სამზარეულო კარადა, რომელიც მასიური ხისაა და იმ დროის ავეჯისთვის დამახასიათებელი ორნამენტებით არის შემკული.

საყურადღებოა და გაოცებას იწვევს ჩინეთიდან ჩამოტანილი აბრეშუმის ძაფისა და ბამბუკის ჩხირებისგან დამზადებული ტიხარი. იგი ხელნაკეთია და ფერების სიხასხასით გამოირჩევა. ამ შირმას თავისი ისტორია აქვს. იგი მანჯურიის ომის შემდეგ ჩამოიტანეს და გარკვეული პერიოდი საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრში ინახებოდა. იქ მომხდარი ხანძრის დროს შემთხვევით გადარჩა და (ნაწილობრივ შემონახული) სახლ-მუზეუმს დაუბრუნდა.

აქ დაცული ხის ავეჯიდან თვალში მოგხვდებათ სამოვრის სადგამი მაგიდა. მუზეუმში კიდევ ერთი პატარა მაგიდა მიიქცევს ყურადღებას. იგი დაკეცილ მდგომარეობაში მაგიდაა, ხოლო როდესაც გაიშლება, ნარდის სათამაშო გახლავთ.









მუზეუმში გვაქვს მაზნიაშვილის ოჯახის ნაქონი დიდი სასადილო მაგიდა, რომელიც იშლებოდა და დანა-ჩანგლის შესანახი უჯრებიც გააჩნია. მუზეუმში 180-მდე ექსპონატია და ამ ექსპონატებში მემორიალური, პირადი ნივთებიც გვხვდება. ესენია: ტყავის საფულე, ხმლის გადანაჭერი დანა, ჭოგრიტი, საოჯახო ალბომი.

მუზეუმის ეზოში დგას უზარმაზარი კაკლის ხე. მის ქვეშ განთავსებულია მაგიდა სკამებით. აქ დამთვალიერებლებს შეუძლიათ მშვიდ გარემოში დასვენება და მოწესრიგებული, ყვავილებით გალამაზებული ეზოთი დატკბობა.

გ. მაზნიაშვილის მუზეუმი ფუნქციონირებს 2007 წლიდან. 2013 წელს გიორგი მაზნიაშვილს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა და არსებობს მისი სახელობის ორდენი, რომლითაც ოფიცრები ჯილდოვდებიან, ხოლო 2019 წლის აგვისტოში კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა მუზეუმს. ამ ხნის განმავლობაში მუზეუმს ესტუმრა ბევრი ვიზიტორი, როგორც ექსკურსიის სახით, ასევე ინდივიდუალური დამთვალიერებელი. მათ შორის იმყოფებოდა ბევრი ცნობილი და გამოჩენილი ადამიანი:

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი; აჭარიდან დელეგაცია იმყოფებოდა; თბილისიდან — ქართველ პოეტთა ჯგუფი; საქართველოს შიდა ქართლისა და ახალგორის რეგიონალური ორგანიზაციის მწერალთა კავშირი, რომელმაც მუზეუმს გადასცა წიგნები; ქუთაისის გ. კვინიტაძის სახელობის სამხედრო ლიცეუმის კურსანტები; ქართული ჯარის წარმომადგენლობა გენერალ ჩაჩიბაიას ხელმძღვანელობით; კასპის და გორის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ხოჯევანიშვილი და შიდა ქართლის რწმუნებული მამუკა სალარეიშვილი.



თბილისიდან იმყოფებოდა ახალგაზრდული ლეგიონი პაატა გიგაურის ხელმძღვანელობით, რომელმაც მუზეუმს საჩუქრად გადასცა ტყვიის მასრები, რომლებიც გამოყენებული იყო 1921 წელს. თბილისიდან მუზეუმს სტუმრობდა პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე კოლეგებთან ერთად. მიზანი გახლდათ მისივე დაწერილი წიგნის -"ბრძოლა ბათუმისთვის 1921 წლის 18-20 მარტი"-ს პრეზენტაცია. მუზეუმს სახსოვრად გადაეცა წიგნები.

2020 წლის ოქტომბერში გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმს სტუმრობდა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მან სამინისტროს სახელით მუზეუმს გადასცა ეპოქალური სამი ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო შაშხანა და ორი რევოლვერი.

მიუხედავად პანდემიისა, სახლ-მუზეუმი განაგრძობს მუშაობას.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

## მოულოდნელი თუ აუხსნელი?

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა, შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი,, საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ სპეციალისტებს და, შესაბამისად, ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

**ტონინო გუერა:**

**თქვენს ერს მარად აღტაცებით შესცქერის ყველა. დარჩით ასეთ ხალხად, რომელსაც შეუძლია ასწავლოს სხვას ცხოვრების წესი.**

ბინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

გახდით ჩვენი მკითხველი!

# სივრცე შემოქმედებისთვის, კონსულტაციებისთვის, იდეების განხორციელებისთვის და დასვენებისთვის

რა არის "კომლი"? კომლი არის თანაშექმნის სივრცე, ადგილობრივი თემის წევრებისთვის, მკვლევრებისთვის და ორგანიზაციებისთვის. თანაშექმნის სივრცე ეფუძნება თანაგანცდის იდეას, სადაც შესაძლებელია ფიქრი, დაკვირვება, კვლევა, მუშაობა. თანაშექმნის სივრცე ცდილობს ინდივიდზე ორიენტირებული ზრუნვა კოლექტიურ ზრუნვად აქციოს და ადამიანზე ორიენტირებული ზრუნვა - გარემოზე ორიენტირებულ ზრუნვად.

ასე იქმნება სივრცე თანაშექმნის, თანაცხოვრების და ერთად მუშაობისთვის.

"კომლის" სივრცე ძალიან მალე დაიდებს ბინას კასპის მუნიციპალიტეტში. სიახლეებს კი პირველ რიგში თქვენ შეიტყობთ მათი გვერდის საშუალებით.

ვესაუბრებით სათემო სივრცე "კომლის" დამფუძნებელს თეონა დალაქიშვილს:

- რატომ "კომლი"?

- სათემო ჯგუფების განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოებაში არსებული პრობლემების ჯერ წამოჭრის, და შემდეგ გადაჭრისათვის.

უკანასკნელმა კვლევამ, რომელიც ეხებოდა საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედ სათემო ორგანიზაციებს, აჩვენა, რომ შიდა ქართლი ერთ-ერთია იმ რეგიონთაგან, სადაც სათემო ორგანიზაციები არც ისე მრავლადაა.

კასპის მუნიციპალიტეტში ამ კუთხით კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა. სწორედ ამ პრობლემამ დაგვანახა, შევქმნა სივრცე იქ, სადაც ამის საჭიროება ყველაზე დიდია.

"კომლის" მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური მიმართულება კასპის მუნიციპალიტეტში მივიწყებული სივრცეების აღმოჩენა და კულტურული მემკვიდრეობის კვლევა იქნება.

"კომლი" არის სათემო სივრცე, სადაც შესაძლებელია ფიქრი, დაკვირვება, კვლევა, მუშაობა და ახალი ცოდნის თანაშექმნა. "კომლი" ცდილობს ინდივიდზე ორიენტირებული ზრუნვის ფოკუსი საზოგადოებრივი ზრუნვისკენ მიმართოს და ადამიანზე ორიენტირებული ზრუნვა - გარემოზე და ადამიანზე ორიენტირებულ ზრუნვად აქციოს.

"კომლი" თავის თავში რამდენიმე ძირითად სერვისს აერთიანებს, ესენია:

- საერთო სამუშაო და სათემო სივრცე;
- ახალგაზრდული ჰოსტელი, ანუ საცხოვრებელი სივრცე;
- კვლევის სივრცე, ბიბლიოთეკა.

გარდა სივრცისა, "კომლი" მსურველებს და ადგილობრივებს პირველ რიგში შესთავაზებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მენტორინგის შესაძლებლობას და გახდება მნიშვნელოვანი მონაწილე საზოგადოებრივი ცხოვრების.

თანაშექმნის სივრცე არის მუდმივად შექმნის პროცესში მყოფი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასთან და ჩამოსულ სტუმრებთან ერთად ცდილობს ცოდნა გაანთავისუფლოს აკადემიური ჩარჩოებიდან და ხელმისაწვდომი გახადოს ისეთი სამეზობლოებისთვის, სადაც ამის შესაძლებლობა ნაკლებად არსებობს.

თანაშექმნის სივრცეში სტუმრები იზიარებენ თემთან ერთად პრინციპს, რაც გულისხმობს მათი საქმიანობისა და აღმოჩენების შესახებ ცოდნის ადგილობრივი თემის წევრებისთვის გაზიარებას და გაცნობას. ამ იდეებზე დაყრდნობით, თანაშექმნის სივრცე ღიაა ადგილობრივი თემის წევრებისთვის, ახალგაზრდებისთვის, მკვლევრებისთვის, არტისტებისთვის და ორგანიზაციებისთვის, ვისაც სურს სივრცე გამოიყენოს: შეხვედრებისთვის, კონსულტაციებისთვის, იდეების განხორციელებისთვის და დასვენებისთვის.

ბევრი ადამიანისათვის კასპი ცემენტის ქარხანასთან ასოცირდება. ეს მაშინ, როდესაც კასპი მდიდარია როგორც ულამაზესი ხედებით, ასევე იმ კულტურული მემკვიდრეობით, რომლის დიდი ნაწილიც ჯერ კიდევ შესასწავლია. ამას გრაკლიანის აღმოჩენაც ადასტურებს.

ძალიან კარგია, რომ ხელოვანი ადამიანები აქტიურად ცდილობენ მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციას, ჩვენ კი მალე ამ ყველაფრის უფრო ახლოს გაცნობაშიც დაგეხმარებით.

"კომლი" საინტერესო ინიციატივების აღმოჩენაში გვეხმარება, ასე ვიპოვეთ ქართული სახალხო დაფინანსების პლატფორმა, რომელმაც გაცნობისთანავე გამოგვიცხადა მხარდაჭერა.

ძალიან გვახარებს, რომ ადგილობრივ მეგობრებს ადგილობრივ პლატფორმაზე შეუძლიათ ჩვენი მხარდაჭერა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "კომლისთვის" მნიშვნელოვანია ყველა ტიპის მხარდაჭერა, ჩვენი შექმნის პროცესი პირველ რიგში ჩვენი მხარდამჭერების იდეებს ეფუძნება, ადგილობრივი მოსახლეობის იდეებს და იმ საჭიროებებს, რომელიც ჩნდება ადგილობრივ დონეზე.

"კომლის" თანაშექმნის პროცესს ვიწყებთ, თუმცა პირველი ნაბიჯები გადადგმული გვაქვს: ჩვენს გუნდს აქვს საწყისი კაპიტალი, ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა იმისთვის, რომ შევძლოთ შევქმნათ სივრცე, რომელიც ყველასთვის საყვარელ ადგილად იქცევა. ამისთვის ჩვენს მთავარ პრინციპს - თანაშექმნას ვეყრდნობით.




**"უკანასკნელმა კვლევამ, რომელიც ეხებოდა საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედ სათემო ორგანიზაციებს, აჩვენა, რომ შიდა ქართლი ერთ-ერთია იმ რეგიონთაგან, სადაც სათემო ორგანიზაციები არც ისე მრავლადაა." ეს რბილად ნათქვამია. ჩვენთან სათემო ორგანიზაციები ჯერ კიდევ უცხო სინამდვილე გახლავთ. ამიტომ ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას წარმოდგენილ სიახლეზე. პერმანენტულად დავუბრუნდებით "კომლის" სივრცეს თუნდაც იმ მიზეზით, რომ ჯერ არავინ შეგვპირებია საზოგადოებრივ საწყისზე შეხვედრების სივრცის შექმნას, ეს უკანასკნელი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად გვესახება არსებულ სინამდვილეში.**

როგორ უნდა გახდეთ ამ პროცესის ნაწილი? შეგიძლიათ უბრალოდ დონაციით, ან თუნდაც ლინკის გადაზიარებით დაგვიჭიროთ მხარი; შეგიძლიათ კონკრეტული თანხის დონაციის საფუძველზე გახდეთ თანადამფუძნებელი; ასევე ორგანიზაციებს შეგიძლიათ წინასწარ შეისყიდოთ ჩვენი სერვისები 2022 წლისთვის. უკანასკნელი ორი მიმართულებით დაინტერესების შემთხვევაში მოგვწერეთ და დეტალურად აგიხსნით თანამშრომლობის პირობებს.

თქვენი მხარდაჭერა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რათა შევქმნათ კიდევ ერთი საინტერესო სივრცე - სივრცე ახალი იდეების და ახალი ცოდნის შექმნისთვის.

**უძველეს დემონთა დასამარცხებლად**

# ინდივიდის აღმოჩენის მუდმივი პროცესი

როგორც გენიალური პოეტი მარინა ცვეტაევა იტყოდა, ადამიანი უფრო ძველია, ვიდრე ქვიშა, გველი ან ქარვა, ზღვები თუ ქვები, მაგრამ ტკივილის გრძნობა, შესაძლოა, თვით სიყვარულზე უფრო ძველი იყოს. ნეგატიური ფიქრი, შიში, აფორიაქება რაიმეს დაკარგვის გამო და ამით გამოწვეული ტკივილი — ფსიქოლოგები ეჭვიანობას მეორად ემოციას უწოდებენ. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს გრძნობა ხშირად ემოციათა მთელი სპექტრითაა წარმოდგენილი: ბრაზი, მწუხარება, აღშფოთება, გულისწყრომა და ზიზღი. თურმე ნუ იტყვით და, ხუთი თვის ახალშობილსაც კი შეიძლება ამგვარი გრძნობა დაეუფლოს.

ეჭვიანობის სახეებს შორის, რომლებიც სოციოლოგებს, კულტუროლოგებსა და ფსიქოლოგებს გულდასმით შეუსწავლიათ, ფრიად საინტერესოა ეგრეთ წოდებული პლატონური ეჭვიანობა. ეს ეჭვიანობის ის გამოხატულებაა, რომელიც მხოლოდ მეგობრებს შორის ურთიერთობისას გვევლინება. ამ დროს ეჭვიანობა გამოწვეულია მეგობრის დაკარგვის, მასთან დაშორების საფრთხის განცდით ან იმ აუტანელი შიშით, რომ ჩვენ, შესაძლოა, სხვამ ჩაგვანაცვლოს. ამგვარი ეჭვიანობა იმითაა საინტერესო, რომ, ალბათ, ყველაზე მეტად უახლოვდება ზოგადინტელექტუალურ ეჭვიანობას, რომელიც ადამიანს ერთიანად აქვს გარემომცველი სამყაროს მიმართ. თუმცა, თუ ისევ და ისევ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, ეჭვიანობის, როგორც საშინელი და აუტანელი ძალლის თავი, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის თვითშეფასებაშია დამარხული. თუ ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნიკალურები, განუმეორებლები და შესანიშნავები ვართ, არც ერთი სახის ეჭვიანობის გრძნობა არ შემოგვიტევს. თუ ადამიანს მაღალი თვითშეფასება აქვს, მას სჯერა, რომ ვერავინ შეცვლის, მის ადგილს ვერავინ დაიკავებს, მისი, როგორც ინდივიდის ფუნქციას ვერავინ შეასრულებს. აქედან გამომდინარე, არც შფოთი გვაწუხებს და არც სხვა რამ ნეგატიური შეგრძნებები. ასე რომ, ეჭვიანობის დემონების დასამარცხებლად, უპირველესი ხერხი სწორედ ჩვენს თავში ინდივიდის აღმოჩენის მუდმივი პროცესი, თვითშეფასების ამაღლებაზე მუშაობა და საკუთარი ღირსების აღიარებაა.

ნებისმიერ კულტურულ სივრცესა თუ სოციალურ ჯგუფში დამკვიდრებულია ფასეულობათა მეტ-ნაკლებად მყარი ერთობლიობა. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეჭვიანობის ტრიგერი სწორედ ეს ფასეულობები ხდება. ისინი განაპირობებენ მოთხოვნებს როგორც საკუთარი თავის, ასევე გარემოსა თუ პარტნიორის მიმართ.

როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვისაც ძალიან მტკივნეული და ხშირად დაუძლეველია ეჭვიანობის მთავარი სახე, რომელიც რომანტიკულ ეჭვიანობად არის სახელდებული. ის მხოლოდ იმ ადამიანებს შორის აღმოცენდება, რომლებსაც ერთმანეთთან რომანტიკული ურთიერთობა აქვთ, ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, ერთმანეთი უყვართ, ან ჰგონიათ, რომ უყვართ. რომანტიკულ ეჭვიანობასაც, რა თქმა უნდა, გააჩნია განმაპირობებელი ფაქტორები: სოციობიოლოგიური, კულტურულ-ისტორიული, პიროვნული, სიტუაციური და ა. შ.

ქალი თუ მამაკაცი მუდმივად ცდილობს საკუთარი პარტნიორი თავისი სქესის სხვა წარმომადგენლებისაგან "დაიცვას". 'დაცვის" სტრატეგიას უფრო მეტად მამაკაცები მიმართავენ და ის საკუთარი უპირატესობის დამტკიცებაში, ქალის მუდმივ დამორჩილებასა და ზოგჯერ ძალადობაშიც კია გამოხატული.

დაურწმუნებლობა, უნდობლობა, ეულობის განცდა — ქალები ეჭვიანობისას ამ საშინელი შეგრძნებებით იტანჯებიან, რაც არა მხოლოდ პიროვნულად აზიანებს მათ, არამედ რადიკალურად ცვლის ურთიერთობას პარტნიორ მამაკაცთან. ქალს ასეთ შემთხვევაში უქრება ის თვისებები, რომელთა გამო მამაკაცს იგი უყვარს — სილაღე, თავდაჯერებულობა, სიმშვიდე, მხიარულება და ა. შ. ამიტომ, როგორც კი იგრძნობთ ეჭვიანობის პირველ შემოტევებს, სასურველია, საკუთარი დამოკიდებულების შესახებ საყვარელ ადამიანს გულახდილად უამბოთ და ყველა პასუხგაუცემელ კითხვაზე მიიღოთ პასუხი, თორემ შესაძლოა, ნამდვილ ჯოჯოხეთში აღმოჩნდეთ.

**გაგრძელება მომდევნო ნომერში.**

# ყველა დროის საზრუნავი

კალენდარული წლის თითქმის ნახევარი მიიწურა. დროის ეს 5-თვიანი მონაკვეთი, ჩვენი გაერთიანების ბაგა-ბაღების სამუშაო და საალმზრდელო საქმიანობის პრაქტიკაში რამდენადმე განსხვავებულია, ვიდრე ეს იყო წინა რამდენიმე წლის ანალოგიურ პერიოდებში. ერთი კი აშკარაა, იგი თავისებურად განსხვავებულია თუნდაც შარშანდელ ხუთ თვეში. შარშანდელი მარტიდან მოყოლებული, მსოფლიოში გავრცელებული პანდემიური სიტუაცია უფრო გვზაფრავდა, როგორც უცნობი და არამართვადი დაავადების გამომახილი... აი, იქიდან გავიდა წელიწადზე მეტი და თითქოს შეეგუა ყველა და ყველაფერი, ახლა უკეთ და უფრო მშვიდად, ორგანიზებულად, საქმეში ჩაღრმავებით უნდა გამოინახოს გამოსავლის გზები.



განა შეიძლება ძნელი და არასასურველი ნაბიჯის გადადგმის დავიწყება, რაც იძულებით მოგვიხდა 2020 წლის ნოემბრის დასაწყისში.



კერძოდ, იძულებული შევიქენით, ბაგა-ბაღები დაგვეკეტა. მაგრამ ახლა, გასული დროის გადასახედიდან კარგად გამოჩნდა, რომ იმხანად ეს იყო ერთადერთი სწორი და გამართლებული გამოსავალი. და ის მოინახა.

გვჯეროდა, ის რთული პერიოდი დაიძლეოდა. მართლაც, 2021 წლის მარტის დადგომისთანავე ისევ განვაახლეთ შიდა დასაქმებულობა ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში. აქვე აუცილებლად უნდა დავაკონკრეტოთ: ნოემბერ-მარტის პერიოდშიც ჩვენს მეთოდისტებსა და აღმზრდელებს შინ გაშვებულ ბავშვებთან და მათ მშობლებთან ელექტრონული ქსელის მეშვეობით ჰქონდათ კონტაქტები.

და, მაინც, გასული ზამთრის თვეებში ამგვარმა იძულებითმა "არდადეგებმა" უარყოფითად იმოქმედა ჩვენი აღსაზრდელების დასწრება-არდასწრების აღრიცხვიანობაზე. მათი რაოდენობა ერთიანობაში 1000–1200-მდე თუ იანგარიშებოდა, მარტის ბოლოსათვის თითქმის განახევრდა. კარგია, რომ აპრილ-მაისში მატების კურსი ისევ გამოიკვეთა. ასეთ დროს, ცხადია, უპირველესი მოქმედი და გასათვალისწინებელი ფაქტორია თვითონ მშობლების მხრიდან გამოჩენილი სიფრთხილე.

მიმდინარე ეპიდემიურ ვითარებასთან დაკავშირებით არ შეცვლილა ჩვენი მხრიდან საქმისადმი მიდგომის კურსი, ამჟამადაც უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და დარგის შესაბამისი სამსახურების მოთხოვნათა დაცვა: ადგილებზე უზრუნველყოფილიყო უსაფრთხოების საშუალებანი, საიზოლაციო ოთახების მოწყობა და დეზობარიერების განთავსება, რეგულაციების სიმკაცრე, სამეურნეო საქონლის პერიოდული განახლება და ა. შ.

ზემოთ აღნიშნული ყველაფრის შემოწმება და ინსპექტირება მოახდინეს ჯანდაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი მერიის წარმომადგენლებმა. ახლა შეგვიძლია იმის თქმა, რომ საერთო მონდომებამ კარგი შედეგი მოგვცა. კერძოდ, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში დაფიქსირდა ვირუსის ფაქტი.

ნამდვილად ბევრ მშობელს აინტერესებს საზაფხულო არდადეგების გამოცხადების დრო. სასწავლო-საალმზრდელო პროცესი ახლაც გრძელდება და გასტანს ივლისის ბოლომდე.

ჰორიზონტზე უკვე იკვეთება 2021-22 წლების სეზონურობა. კერძოდ, როგორც ადრინდელ წლებში, ახალი საალმზრდელო პროცესის განახლება წლევანდელი შუა სექტემბრისათვის იგეგმება. მალე, საჯარო სკოლებში შესასვლელად, გავაცილებთ და გზას დავულოცავთ ჩვენს 442 აღსაზრდელს (მათგან ქ. კასპის მასშტაბით — 184-ს). ამასთან დაკავშირებით ადგილებზე ყველგან გათვალისწინებულია ე. წ. "აქტივობის" მოწყობა სახელწოდებით: "გზა სკოლისაკენ".

მოგეხსენებათ, სოფელ ფერმის მოსახლეობა ძირითადად



აზერბაიჯანულენოვანია. ამიტომ ბაღის კოლექტივის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას აქედან გამომდინარე პრობლემა: ენობრივი ბარიერი! იგი საწყის ეტაპზეა ყველაზე საგრძნობი, მაგრამ ბაღში გატარებულ რამდენიმე წელში ფერმელი გოგო-ბიჭები უკვე ეუფლებიან ქართული ენის მცირე მარაგს, ენას იტეხენ და საქართველოს ჰიმნსაც კი მღერიან, როცა სასკოლო ასაკს აღწევენ.



არც დამდეგი ზაფხულის თვეებში შენელდება საზრუნავი, რაც უკავშირდება ახალმშენებლობების საკითხს:

მუნიციპალიტეტის სოფლების საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია. ყველგან, სადაც კი ისინი შენდება და რემონტდება, სამუშაო ტემპი და გრაფიკი საკმარისია და დაცული. ამიტომ იმის თქმაც გადაწყვეტით შეიძლება, რომ საშემოდგომოდ ნამდვილად შემოგვემატება ახალი ბაღები სამ სოფელში — იგოეთში, მეტეხში, გრაკალში. გარდა ამისა, ბაღი შენდება რენეშიც.



ასევე, საბავშვო ბაღების შენობები რეაბილიტირდება ისეთ დიდ სოფლებში, როგორიცაა ქვემო ჭალა და ზემო ხანდაკი.

აქვე, რადგან აღნიშნულ თემას ვეხებით, შეუძლებელია, მადლიერება არ გამოვხატოთ სწორედ ამ სოფლის — ზემო ხანდაკის — საბავშვო ბაგა-ბაღის გამგის, თამარ დეკანოზიშვილის მხრიდან გამოჩენილი უდიდესი მზრუნველობის თაობაზე. სკოლამდელი აღზრდის დარგის ამ დამსახურებულმა და გამოცდილმა ქალბატონმა, ცხადია, იქაური პედაგოგიური კოლექტივის მცდელობით, გარჯილობითა და თანადგომით, იმდენი მოახერხა, რომ რამდენიმე ათეული წლის წინათ აშენებული მათდამი რწმუნებული ბაღის შენობა შეენარჩუნებინათ და აქამდე მოეტანათ, როგორც იტყვიან, ძველებური ხიბლითა და პეწით. დიახ, როცა განიხილებოდა ზემო ხანდაკის ბაღის რეაბილიტაციის საკითხიც, ამისი საჭიროება თითქმის არც იდგა და ამან საქმეში ჩართუ-



ლი სპეციალისტები სასიამოვნოდ გააკვირვა. ასე რომ, ზემოხანდაკელებსაც მალე ექნებათ სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ახალი ბაღი. ისევე, როგორც ეს მოხდება სამთავისსა და ლამისყანაში, სადაც ახლო მომავლისათვის გადაწყვეტილია ბაღების შენობების განახლება.

ამდაგვარი კეთილსიახლეთა შემომატების პერსპექტივაში ახლო მომავალსაც თუ გავხედავთ, თვითონ კასპში, ანდა, სხვა სოფლებში სკოლამდელი ობიექტების ახალმშენებლობათა აუცილებლობა მთელი სიმწვავით აღარ დგას. იმ სოფლებში, სადაც არ გვაქვს საბავშვო ბაღები, ხდება ბავშვების ტრანსპორტირება უახლოეს ბაღებში. თუკი სადმე მცირედით მაინც არის პრობლემური, ეს საკითხი მოგვარებულია და მოწესრიგებული, კერძოდ, ამჟამად პატარების ტრანსპორტირება ხდება რამდენიმე ლოკაციაზე: წინარეხიდანა და თელადგორიდან — სოფელ ეზატის ბაღში, ნოსტიდან — ახალციხეში, ხვითიდან — ლამისყანაში.

ბაგა-ბაღების მოვლა-პატრონობის კუთხით, ნამდვილად კარგი მდგომარეობა გვაქვს ბევრგან. გამოვყოფთ ქ. კასპის ხუთივე ბაღს. აგრეთვე, სოფლებში: მეტეხი, ხოვლე, ახალქალაქი (ორივე ბაღი), კავთისხევი, ქვემო ჭალა, თეზი, ოკამი, ფერმა და ა. შ.

### თარიღი კალენდრის ფურცელზე

## ნიკოლოზ (კულა) იანვარაშვილი — 110!

**(16.05.1911 — 10.10.2000)**

საქართველოში ორი კულა იყო: ერთი თბილისში — გლდანელი (ვანო ყირიმელი), მეორე კი კასპში — მერე ისიც გათბილისებული და, ბოლოს, მაინც მშობლიურ სოფელში დაკრძალული, ხოვლის "კვართის სასაფლაოზე".

"კულა" მასაც ხალხმა შეარქვა. უბრალო და რიგითმა გულშემატკივარმა კი არა, არამედ ნაცადმა ვეტერანებმა და ჭიდაობის სპეციალისტებმა და მერე, რაკი პირველებმაც აღიარეს, ასე გახდა კულა ხოვლელი — სეხნია ნამდვილი კულა გლდანელისა! ეს უკვე პატივიც იყო და უფრო მეტიც. ჯეილობაში ჭიდაობდა, შემდეგ მოჭიდავე—მწვრთნელობდა და, თანაც, მსაჯობდა, იყო ჭიდაობის დიდი ქომაგი და პოპულარიზატორი, სოფლის ნაკრების თავკაცი, რაიონის სპორტული ცხოვრების აქტიური მონაწილე და მხარდამჭერი, მიწვეული მსაჯი მრავალი სოფლის საჭიდაო "კრუგში".

მეორე მსოფლიო ომამდე ათ წელზე მეტხანს იჭიდავა. დაიწყო ომი და ისიც წავიდა. ბევრი იბრძოლა და რამდენჯერმე დაიჭრა, ტრავმირებული დაბრუნდა შინ და ისევ არენისაკენ გაუწია გულმა...

მისი თაობელი მეგობრებიდან ომის გზებზე დანთებულ ცეცხლს შეეწირნენ სულიკო კოშაძე, ვახტანგ და ესტატე ლელაშვილები, ლექსა გიორგაშვილი, გიორგი დალაქიშვილი, შალვა იანვარაშვილი, ცაცო ბარამიძე, გოგი ჯანანაშვილი, ნიკოლა კოშაძე, კოლა ბიჭიკაშვილი... (მერე თვითონ გააცოცხლა მათი სახელები და ჩამოთვალა თავის მოგონებათა წიგნში, რომელსაც წერდა 1932 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე, მას ხელ-



ნაწერის სახით ძვირფას ექსპონატად ინახავენ თბილისელი ქალიშვილის ოჯახში).

... ხოვლის საჭიდაო "კრუგზე" თავს იყრიდნენ არა მარტო მოჭიდავენი, არამედ უამრავი მაყურებელი, მოსეირე თუ დაინტერესებული, საქმის სპეციალისტები და მესვეურები.

კულას ერთხელ საგანგებოდ ეწვია დიმიტრი ყურაშვილი — თბილისელი ფალავანი. მან საკუთარ თავზე იწვნია "კულას მკლავების რკინის სალტური ძალა" და "ცერულის" სიძლიერე. მან მერე დედაქალაქში მიიპატიჟა და სხვებსაც დასჭიდა. "პლეხანოვის კლუბში" თურმე რამდენჯერმე სძლია გიჟუა ჭიჭინაძესა და სხვა ფალავნებს. იქიდან გორელებმა გადაიპატიჟეს და ახლა იქაურებს გაუსვა ხელფეხი. ყველაზე ძალიან დამახსოვრებია არტაშ მიხანაშვილთან დაჭიდება, ის ყოფილა საქართველოს 2-გზის ჩემპიონი. შემდეგში თითქმის 10-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და აშკარად ვერც ერთს დაუჯაბნია მეორე. ასე, ღირსეულად განშორებულან.

იმ დიდი ომიდან სოფელში მობრუნებულმა გვერდში დაიყენა თანამოაზრეები — გრიშა ხუციშვილი (ინსტიტუტში სწავლისას იყო მწვრთნელი და თან ჭიდაობდა), გრიშა კოშაძე (საქართველოს პირად-გუნდური პირველობების პრიზიორი, თბილისის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი), დათიკო ლელაშვილი (ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და მრავალგზის პრიზიორი ქართულში), შიო ბიჭიკაშვილი (მრავალგზის პრიზიორი ქართულისა), ალე ლელაშვილი და ლავრენტი ბიჭიკაშვილი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონები), ამირან ყურაშვილი, ჟორა ხუციშვილი, გოგლა ბიჭიკაშვილი...

ნიკოლოზ (კულა) იანვარაშვილმა თავისი მოგონებათა წიგნით ნამდვილი ძეგლი დაუდგა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ უამრავი მეგობარ-მეტოქის გაუხუნარ სახე(ლ)ებს. საშვილიშვილო საქმე გაკეთდებოდა მისი ნაკალმარის წიგნად აკინძვა-გამოცემით. ქართული ჭიდაობის დღევანდელო მესვეურებო, რას იტყვით?



### თაობის აღმზრდელი

## გიორგი როსტიაშვილი — 100!

**(09.05.1921 - 12.07.1994)**

1994 წლის ივლისში, 73 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაცვლილისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში იმჟამინდელი ერთადერთი ქართული სასპორტო გაზეთი "ლელო" წერდა:



"კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა ქართველ მოჭიდავეთა რიგებს — გიორგი როსტიაშვილი: მთელი თაობების აღმზრდელი, თავადაც ცნობილი ფალავანი, დამსახურებული მწვრთნელი და პედაგოგი; ალალი, უტყუარი და მშრომელი კაცი. თითქმის ექვსი ათეული წელი დაჰყო ხალიჩაზე ჯერ როგორც სპორტსმენმა, მერე მწვრთნელმა და მრავალი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ღირსეული ფალავანი აღუზარდა ქვეყანას, დააკვალიანა და ცხოვრების ურთულეს გზაზე გაიყვანა.

გიორგი როსტიაშვილი წარმოშობით, სისხლითა და ხორცით, კასპელი იყო და იქაური ფალავნების ნიჭით მომადლებული. დაიბადა 1921 წელს სოფ. კავთისხევში. იქ ჩაენერგა ჭიდაობის სიყვარული...

ნამდვილი წარმატება 1947 წელს მოვიდა — ქართულ ჭიდაობაში თბილისის აბსოლუტური ფალავნის სახელი დაიმსახურა. მერე ძალები სამბოშიც მოსინჯა და სსრკ-ის არაერთგზის ჩემპიონი გახდა. სხვადასხვა სინჯის მედლები და ჯილდოები მოიპოვა, ასევე, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. საქართველოში იგი ერთადერთი მწვრთნელია, ვინც, ასევე, ჭიდაობის სამ სახეობაში აღზარდა მსოფლიო ჩემპიონები (ზარბეგ ბერიაშვილი — თავისუფალში, როსტომ აბაშიძე — ბერძნულ-რომაულში და იოსებ მაღალაშვილი — სამბოში)"...

ვნახოთ, რას წერს ქართველ მოჭიდავეებზე დაწერილი წიგნების ავტორი და ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტი იან დიმოვი თავის წიგნში "საქართველოს ფალავნები" (თბილისი, 1987) ჩვენებურ მსოფლიო ჩემპიონზე, იოსებ მაღალაშვილზე:

"1969 წელს მაღალაშვილმა გიორგი როსტიაშვილთან დაიწყო ვარჯიში. ყალთაბანდობა აღარ შეიძლებოდა და მაღალაშვილიც წვალობდა. იგი მოგვიანებით იტყვის: — ყველაფერი, რაც ჩემშია, როსტიაშვილმა მასწავლა! ჩანს, ბევრი რამ უსწავლია, რაკი 7-ჯერ გახდა მოწაფე საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, რაკი შეიყვანეს ქვეყნის ნაკრებ გუნდში, რაკი დამარცხებული ჰყავდა რაფიკ გაჯიევი, ბორის ბაზაევი, ვლადიმერ ტოკჩინიკოვი და ვიქტორ იუმინი"...

თვალი აუცილებლად უნდა გადავავლოთ გიორგი როსტიაშვილის სპორტულ მიღწევებსა და შედეგებს:

ქართული ჭიდაობა — ქ. თბილისის აბსოლუტური ფალავანი (1947).

სამბო — სსრკ-ის 3-გზის ჩემპიონი (1948, 1950 და 1951), ასევე, 2-გზის მე-3 პრიზიორი (1947 და 1952).

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1962) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი (1971).

თავისუფალი ჭიდაობა — სსრკ-ის მე-3 პრიზიორი (1951).

სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელი (1965) და საკავშირო კატეგორიის მსაჯი (1967).

გიორგი როსტიაშვილს მინიჭებული ჰქონდა საპატიო წოდება: "საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე".

კიდევ ერთი ცნობა მისი სპორტული დამსახურების აღიარების დასტურად — 1972 წლის აზიურ თამაშებზე ხელმძღვანელობდა პაკისტანის მოჭიდავეთა ნაკრებს (თავისუფალ ჭიდაობაში).

### მაგიდის ჩოგბურთი

## ძმები აბულაძეები - შიდა ქართლის პრიზიორობიდან საქვეყნომდე

კასპელი ძმები — 17 წლის თორნიკე და 15 წლის ლუკა აბულაძეები გიმნაზიაში სწავლობენ. მათი ერთობლივი გატაცება მაგიდის ჩოგბურთია.

უკვე ერთი წელია, რაც კასპის სპორტგაერთიანებაში ამ სახეობის სასწავლო ჯგუფში ლანა მელაძის მწვრთნელობით ოსტატდებიან.

ამას წინათ ძმებმა შიდა ქართლის ჩემპიონატში იასპარეზეს.

საპატიო კვარცხლბეკზე ისინი ერთად დადგნენ. მათ მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს. ამით უფლება მოიპოვეს, საქართველოს ჩემპიონატში გამოსულიყვნენ.

შეჯიბრებები 15-16 მაისს ქ. თბილისში გაიმართა. 35 მონაწილესთან მეტოქეობაში თორნიკე და ლუკა საუკეთესოთა 5-ეულში შევიდნენ.

## სპორტ INFO

### კრივი: საბა ბერიაშვილი — საქართველოს პრიზიორი



წლევანდელ შუა აპრილში ქ. ფოთში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა. შავიზღვისპირეთში, რომელიც ჩვენში "ქართული კრივის ქალაქად" არის მიჩნეული, შეიკრიბნენ იმ ქალაქებისა და რეგიონების კრივის სკოლებისა და დარბაზების წარმომადგენლები, სადაც უყვართ და დანერგილია სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა:

თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, გორიდანა და ვარიანიდან, თვითონ ფოთიდან...

გასახარია, რომ ასეთი გეოგრაფიული არეალის ფართო ჩამონათვალში გამოჩნდა ლეხურისპირა ქალაქის სახელიც. კერძოდ, ფოთში პირველობაზე წარმომადგენელი წარგზავნა ჩვენი გაერთიანების კრივის დარბაზმა (სოფელი ახალქალაქი), სადაც რამდენიმე წელია, რაც შედეგიანად საქმიანობს ახალგაზრდა სერტიფიცირებული მწვრთნელი ოთარ თოიძე.

დიახ, საქართველოს მოსწავლე-მოკრივეთა ჩემპიონატში პირველად იასპარეზა ახალქალაქელმა მერვეკლასელმა ჭაბუკმა — საბა ბერიაშვილმა. იგი მძიმეწონოსანთა შორის გამოდიოდა (+80 კგ-ის კატეგორიაში) და მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა. საბა დაჯილდოვდა საქართველოს კრივის ფედერაციის თასითა და შესაბამისი ხარისხის მედლითა და დიპლომით... ნორჩი ჩემპიონი 2021 წლის 11 ივნისს 14 წლისა შესრულდება.

ჯერ ორი წელია, რაც ახალქალაქელი წარმატებული მწვრთნელისა და შეგირდის დუეტი გამოჩნდა ადგილობრივ რინგზე.

გვჯერა, მათი სადებიუტო წარმატება საწინდარი გახდება მეტი გარჯისა და რეზონანსული გამარჯვებებისა.

## განთიადელი ბიჭები ლიდერობენ ,,თბილისის ლიგის,, ჩემპიონატს

წლევანდელ 7 აპრილს გაისმა სამსაჯო სასტვენების პირველი ხმა იმ სტადიონებზე, სადაც თამაშობენ ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პატრონაჟით აწ მიმდინარე ჩემპიონატის მონაწილეები. პირველობაში სულ 12 გუნდი ჩაება, მათ შორის - კასპიდან - 2.

დიახ, ასეა, კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა დედაქალაქურ გათამაშებაში გამოდის "განთიადის" პირველი და მეორე გუნდით. მათი მწვრთნელები არიან, შესაბამისად, მალხაზ ჯალალი და შავლეგ მაჭარაშვილი. მოთამაშეთა ასაკსაც დავაზუსტებთ: დაბადებული არიან 2007-2008 წლებში.

კასპელები დედაქალაქურ ლიგაში? - დიახ, ჩვენებური ყმაწვილკაცები მისი ძველი და ქმედითწარმატებული მონაწილეები არიან. საამაყოდ გასახსენებელია, რომ ყველაზე დიდი მიღწევა 2000-წლიანთა გუნდს ჰქონდა, რომელმაც იმ სეზონში ახლოსაც არ გაიკარა მეტოქეები. თავად განსაჯეთ: გუნდმა მაშინ 28 მატჩიდან მხოლოდ ერთი... არა, წააგო კი არა, დაამთავრა ფრედ, 27 კი მოიგო, თანაც, გატანილ-მიღებული ბურთების გასაოცარი სხვაობით... ვფიქრობთ, ასეთ სარეკორდო, თითქმის აბსოლუტურ, შედეგს "თბილისის ლიგაში" სხვა გუნდები ვერც მოხსნიან!

მიმდინარე პირველობას რაც შეეხება, აქ ფავორიტად მოიაზრება და ამას ადასტურებს კასპის "განთიადი-1"-ის წარმატებული სტარტი, 15 მაისის მდგომარეობით იგი პირველობის ლიდერია! ამ დღეს მან კასპში გაიმარჯვა უშუალო კონკურენტთან - "იბერია-2010"-თან (2 : 1), რომელსაც ქულებით ეთანაბრებოდა და პირველ პოზიციას მეტი თამაშის გამო უთმობდა, ამ მოგებით კი მეორე ადგილოსნობა გამოუწერა...

მაშ, ასე: ქვემოთ მოკლედ გაგაცნობთ უკვე გამართული 6 ტურის შედეგებს:

1-ლი ტური: "განთიადი" (პირველი) - "განთიადი" (მეორე) 4 : 1; 2 - თამაში თბილისის "მერანთან" გადაიდო გაურკვეველი დროით (ამდენად, იქიდანაც შეიძლება სამარქაფო 3 ქულის აღება); 3 - ეს თამაშიც გამოტოვა ტურში დასვენების გამო); 4 - "განთიადი" - თბილისის "გრანდი" - 5 : 2; 5 - თბილისის "იბერია-2017" - "განთიადი" 0 : 2; 6 - ამ თამაშზე ზემოთ უკვე ითქვა.



გამოდის, რომ განთიადელებმა 7 აპრილიდან 15 მაისამდე 6 მატჩში (ფაქტიურად 4-ში) მეტოქე გუნდების კარში გაიტანეს 11 და საკუთარში გაუშვეს 3 ბურთი.

გუნდის მწვრთნელი მალხაზ ჯალალი სიამოვნებით გვაცნობს თავისი ყოჩაღი შეგირდების ვინაობას:

ტატო მიდელაშვილი და ალექსანდრე ჯინიყაშვილი (მეკარეები), მიშიკო ხორბალაძე, ვახტანგ მარქარაშვილი, საბა გზირიშვილი, გიორგი პაიაშვილი, გიორგი ფავლენიშვილი, გიგა ჭიხინაშვილი, გიორგი თაგვიაშვილი, საბა ნონიაშვილი, საბა გერგედავა, ნოდარ მერებაშვილი (გუნდის კაპიტანი), მალხაზ მცხვეთაძე, გიორგი სულამანიძე, გიორგი წიკლაური, საბა არჩვაძე, საბა ქადაგიძე...

... და, კიდევ, ერთი დამატებითი ამბავი: შიდა ქართლის წლევანდელ პირველობაზე სკოლის სახელით ერთ-ერთი სოფლიდან უნდა გამოსულიყო გუნდი, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა და ამიტომ ისევ "განთიადი-1"-ს უხდება "მეორე ფრონტზე" ბრძოლა და ის იქაც პირველობს: ორივე თამაში მოიგო, ხაშურის გუნდს 4 : 0 -ზე მოუგო, ხოლო ქარელისას მეტი სხვაობით: 6 : 0 (!).

("განთიადის" მეორე გუნდს რაც შეეხება, იგი მოკრძალებულად გამოდის "თბილისის ლიგის" პირველობაზე, მას მხოლოდ ერთი საშინაო მატჩი აქვს მოგებული).

### საფეხბურთო მიმოხილვა

## ,,კასპი-1936,,-მა წლევანდელი სეზონი შარშანდელზე უკეთ დაიწყო, ანუ სტუმრად სადღეობო მატჩში გამარჯვება, რომელიც მოგებაზე მეტია!

ა ს ე ა : საქართველოს საფეხბურთო რეგიონული ლიგის გათამაშების წლევანდელი სეზონის სტარტზე ჩვენი ქალაქის "კასპი-1936" უკეთ წარმოჩნდა, ვიდრე შარშანდელ მთლიან სეზონში.

თავად განსაჯეთ: 2020 წლის აგვისტო - ნოემბრის პერიოდში გამართული 13 მატჩიდან მხოლოდ 3-ში გაიმარჯვა, აი, ახალ სეზონში კი უკვე ჩატარებული 5 ტურის შემდეგ მის ანგარიშზე 3 მოგებული თამაშია.

შეგახსენებთ: ა. წ. 20 აპრილს პირველ ტურში უმასპინძლა ქ. ახალციხის "მესხეთს" და ფრიად დაძაბულ თამაშში, როცა ანგარიშში 2-ჯერ ჩამორჩებოდა, მიაღწია გამარჯვებას - 3:2. 27 აპრილს ქ. გორში ეთამაშა იქაურ "ლეგიონს" და "მშრალი" ანგარიშით წაგება გამორჩა - 0:2. 5 მაისს შინ მიიღო ქ. რუსთავის "გორდა" და მასთან საბრძოლო ზავს მიაღწია, როცა ანგარიშის გათანაბრება საპენალტე გოლით მოახერხა უკვე თამაშის მიწურულში.

გასახარია: ის, რაც გუნდმა შარშანდელი სეზონის მანძილზე ერთხელაც ვერ მოახერხა, აგერ, 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის სადღეობო აღსანიშნავ დღეს, მიაღწია გამარჯვებას სტუმრად, ანუ, მეტოქის მოედანზე: ქ. თბილისში სძლია ადგილობრივ "სპორტუნს" - 3:2.

გაგაცნობთ გოლების ავტორების გვარებსაც: თორნიკე თაგვიაშვილი (მე-9 წთ.) და ლევან გამხიტაშვილი - 2 (50-ე 94-ე წთ.).

აქვე რამდენიმე სიტყვა კასპელ შემტევებზე:

ლევანი შარშანაც ირიცხებოდა გუნდში, მაგრამ სხვა ტურნირზე მიღებული ტრავმის გამო ვერაფრით დაეხმარა თანაგუნდელებს, გარდა სტადიონის ტრიბუნაზე ჯდომისა და იქიდან გულშემატკივრობისა. და, აი, მისი ახლანდელი დაბრუნება (ფეხ)შედეგიანი გამოდგა!

აი, თორნიკეს რაც შეეხება, იგი "კასპი-1936"-ის ნამდვილი მეგოლე-გამტარნავია, ანუ გოლების გამტანია! პირველ ტურში "ჰეთ-თრიკი" გამოიმუშავა (აქედან ერთი გოლი საკუთრივ მოპოვებული პენალტით), რუსთავის გუნდთანაც შეაგდო ისევ 11-მეტრიანის ნიშნულიდან და გუნდს მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა, და, აგერ, უგოლოდ არც დღევანდელი თბილისურ-ვაკური მოედნის საფარი დატოვა!

ცხადია, ყველაზე მთავარი და არსებითი ის იყო, რას იზამდა ჩვენი გუნდი შინ, საკუთარ მოედანზე, 19 მაისს, როცა მიიღებდა რეგიონლიგის გათამაშების ლიდერს - ქ. თბილისის "მერანის" მე-3 გუნდს, რომელმაც განვლილ 4 ტურში 10 ქულა მოაგროვა და გაიტანა ყველაზე მეტი ბურთი - 17 (აქედან 10 - 11 მაისის საშინაო თამაშში ქ. ბორჯომის "თორთან").

19 მაისის მატჩში "კასპი 1936"-მა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს 4-1-ზე სძლია და ცხრილში მეექვსე ადგილამდე ამაღლდა.

წლევანდელ სეზონში გუნდის სათამაშო პროგრესი აშკარაა, პოტენციალი - პერსპექტიული.

ეს კარგად ჩანს მეტადრე იმ მხარდაჭერის ფონზე, რაც მას მიმდინარე სეზონში გამოსასვლელად გაუწია ადგილობრივმა მუნიციპალურმა ხელმძღვანელობამ.

### ჭიდაობა ძიუდო

## კასპის სპორტკომპლექსის საჭიდაო დარბაზიდან

კასპის სპორტკომპლექსის საჭიდაო დარბაზიდან:

2021 წლის 15 მაისს, შაბათს, კასპის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი - ბადრი ჯანიაშვილი) საჭიდაო დარბაზში გაიმართა, ერთი შეხედვით, თითქოსდა რიგითი, კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული, სასწავლო-სავარჯიშო ხასიათის, ღონისძიება.

მაგრამ არა, იგი თავისი დანიშნულებითა და სამომავლოდ გათვლილი მიზნებით დიდად განსხვავდებოდა აქამდე ჩატარებული ვარჯიშებისაგან.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი - გიორგი ათაბეგაშვილი, პირველი ვიცე- პრეზიდენტი - დავით ქევხიშვილი - საპროექტო იდეის ავტორი და ინიციატორი) ახალი მიზნობრივი პროექტის - "მომავალი - JUDO მოქნილობა - წარმატებისაკენ" ფარგლებში კასპშიც მოეწყო პირველი რეგიონული სწავლება-სემინარი - თითქმის 3-საათიანი "ცოცხალი გაკვეთილი". მას უძღვებოდა ფედერაციის ინსტრუქტორი გოჩა ბერაძე.

ჩართულობამ ამ ეტაპიდანვე დააინტერესა 30-ზე მეტი ჭაბუკი ძიუდოისტი კასპიდანა და სოფლებიდან, რომელთაც ხელდასმულობენ გამოცდილი მწვრთნელები: ნუგზარ მამულაშვილი (მეტეხი), ბერდია ნატროშვილი (კასპი) და ვასილ ქვრივიშვილი (სასირეთი).

სემინარის დასასრულ თვითონ ინსტრუქტორმა გაგვიზიარა უმთავრესი ამოცანა ფედერაციის ახალი პროექტის თაობაზე:

- პროექტი გათვლილია 2028 წელს ქ. ლოს-ანჟელესში (აშშ) დაგეგმილ საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც საქართველოს ნაკრების წარმატებით გამოსავლელად წარიმართება სასელექციო ეტაპობრივი მზადება ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავეების გამოსავლენად სწორედაც რომ რეგიონებში... აი, კასპის დარბაზში ამ მიზნით ყოველდეკადურად მოგვიწევს ჩამოსვლა და მუშაობა. ფედერაციის პროექტი მოიძიებს და თავს მოუყრის 2006-2009 წლებში დაბადებულ ყველა ნიჭიერ ჭაბუკ ძიუდოისტს მთელი საქართველოს მასშტაბით.



...ამდენად, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ წარმატება ვუსურვოთ ესოდენ მიზნობრივი პროექტის შემუშავების მოთავეებსა და სპეციალისტებს, განმახორციელებლებსა და ყველა მონაწილეს - ადგილობრივი მწვრთნელებისა და ახალგაზრდების ჩათვლით!

დიახ, ესაა დიდი მიზანი, რომლის დანიშნულების გამართლება, უთუოდ, ხელეწიფება ქართულ ძიუდოს!

## ფოტოხელოვანი ახლო ხედით



ჩვენი თვალისათვის ყველაზე ხილულ ციურ მნათობებს, მზესა და მთვარეს, ნაწილობრივ ვარსკვლავებსაც, ყველა დროში ჰყავდა მეხოტბენი და ტრუბადურები, უმეტესად, შემოქმედ და ხელოვან ადამიანებში. მზეს ხომ უგალობდნენ და ეთაყვანებოდნენ და არც მთვარეს აკლდა თაყვანისმცემლები, მისი იდუმალება იზიდავდა შეყვარებულთა გულებს, მუხტავდა შემოქმედი კაცის კალამსა და პალიტრას.

ასეთ დროს (თუნდაც მხოლოდ ქართული სინამდვილიდან) პოეტთაგან უწინარესად გაგვახსენდებიან გალაკტიონ ტაბიძე (ლექსით "მთაწმინდის მთვარე") და გიორგი ლეონიძე ("ამოდის მთვარე"), მხატვართაგან — ნიკო ფიროსმანი ("არსენალის მთა ღამით"), პროზაიკოსთაგან — თამაზ ბიბილური (მოთხრობა "მთვარის შვილი"), კომპოზიტორთაგან — არჩილ კერესელიძე (ოპერეტა "მთვარიდან დაბრუნება") ...

საგანგებოდ უნდა ითქვას კონსტანტინე გამსახურდიას რომანზე "მთვარის მოტაცება", რომლის საფუძველზე შემდგომში კინორეჟისორმა თამაზ მელიავამ გადაიღო მხატვრული 2-სერიანი ფილმი (იმავე სახელწოდებით), ხოლო კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა შექმნა ოპერა (ცხადია, სახელის შეუცვლელად).

*** რაკურსი პირველი — ციური მნათობების მომტაცებელი და შემგროვებელი: ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩვენი დროების "მთვარეობის მიმდევარს" — 40 წლის კასპელ ფოტომოყვარულს. "ციურ კიბეზე" იგი თავისი ფოტოობიექტივით სულ უფრო მაღლდება, ანუ, ოსტატდება, და ამით საკუთარ შემოქმედებით სათქმელსა თუ ფერმოხატულობას სულ უფრო გაბედულად, ერთპიროვნულად ავლენს საქართველოში ასტროფოტოგრაფიით ამჟამად გატაცებული მესურათე-ხელოვანების მცირე ამქარში.

ოთარ თაგვიაშვილს ჯერაც პანდემვითარებამდელ პერიოდში იტაცებდა და უყვარდა ერთ რაკურსში თანხვედრულად მოქცევა სხვადასხვა გადასაღები ობიექტისა თუ საგნისა.

ერთ ასეთ მაგალითზე, სულ ცინცხალზე, თვითონვე გვიამბობს:

— დიდი დრო მოვანდომე იმას, სავსე მთვარის ფონზე რომ "დამესვა" კასპის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გამოსახულება. ამიტომ წინასწარ გულდასმით შევისწავლე მთვარის ფაზები, ამოსვლა-ჩასვლის სადღეღამისო დროები. მხოლოდ ხანგრძლივი საძიებო დაკვირვებით დავასკვენი, რომ ჩემთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი დგებოდა კალენდარული გაზაფხულის პერიოდში, კერძოდ, მარტ-აპრილში, როცა ორჯერ ხდება სავსემთვარეობა. ჩემმა, ასე ვთქვათ, ღამეულმა ფოტონადირობამ, სასურველი შედეგი 2021 წლის გაზაფხულზე მომცა და მათქმევინა, — ყოჩაღ, ოთარ! დიახ, ესოდენ ნანატრი ფოტო კი შევქმენი და საკუთარი ნახელავით, როგორ დავმალო და ნასიამოვნებიც დავრჩი. მაგრამ, ჯერაც არა, თავს ერთ რამეშიც გამოვუტყდი: საგაისოდ თუ მერმისში უკეთესის ავტორობა მწადია! საამისო ცხოველი სურვილი აქედანვე შემოქმედებითად მწვავს და ალმანთებს!..

დიახ, ოთარ თაგვიაშვილმა, ასე და ამგვარად, პირად ასტრონომიულ-ფოტოგრაფიულ კერძო კოლექციაში ათობით ფოტო დააგროვა. გამორჩევაზე თუკი საქმე მიდგება, მათგან თავმოსაწონებლად რამდენიმეს მიიჩნევს: "ანდრომედას გალაქტიკა", "ორიონის ნისლეული", "ირმის ნახტომი"...

ოთარს ამიერიდან გამოცდილი ასტროფოტომონადირის მტკიცებულებით შეუძლია იმის თქმა, რომ ციური მანათობელი ობიექტების გადასაღებად ჩვენში — კასპის ტერიტორიული წერტილებიდან — ყველაზე ხელსაყრელი და შესაფერისი ადგილმდებარეობაა სოფელ ლამისყანის მიმდებარე მინდორ-ვაკეები. აი, ორიონისათვის საუკეთესო ლოკაციაა კავთისხევი-ახალქალაქის სამანქანო გზის მონაკვეთები, ხოლო ირმის ნახტომისათვის მისადაგია გოსტიბე—კაბერის მინდვრები.

*** რაკურსი მეორე — "მაგთიკომისა" და სხვათა ფოტოკონკურსების ლაურეატი:

ოთარ თაგვიაშვილისათვის ე. წ. "სუსტი წერტილი" ფოტოსაქმიანობაში ბევრი არაა. მისი საქმიანობის მასაზრდოებელია, უმეტესად, პეიზაჟური და პორტრეტული ჟანრები.

ძველებური თქმისა არ იყოს, — თაფლი იყოს, თორემ ფუტკარი ბაღდადიდანაც მოფრინდებაო! — ჩვენს დალოცვილ მხარეში კაცი "თაფლაადგილებს" ისევე ვერ დაითვლის, როგორც ცაზე ვარსკვლავებსა და ზღვაში კი ქვიშის მარცვლებს. ოთარი თვითონაა ნამდვილად ფუტკარივით გამრჯე და დაუღალავი. ჰოდა, სად აღარ მივა საკუთარი ფეხით ("ჯიპით" — ამაზე მოგვიანებით), სად აღარ დაუდარაჯდება ციურ მნათობებს, თავის თვალხატულა გოგონებს რომელ ყვავილოვან მინდორში არ იახლებს სასურველი ფოტოსესიისათვის, — რათა კადრში განსხვავებულად "გააჩეროს" დრო, დააფიქსიროს ულამაზესი პეიზაჟი!

თანამედროვე მობილური კავშირის ქართულმა კომპანია "მაგთიკომმა" 2021 წლის აპრილში გამოაცხადა ფოტოკონკურსი "გაზაფხულის ყველა ფერი". მისმა ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო 2 ფოტოს ავტორი. პორტრეტის ჟანრში გამარჯვებული გახდა ოთარ თაგვიაშვილის ფოტო.

შემოქმედებითი წარმატებები აქამდეც ჰქონია:

2020 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს ფოტოკონკურსში მისეული ნამუშევარი "აშურიანის ველი" აღინიშნა ფულადი პრემიით, ხოლო "საქართველოს ბანკმა" შეისყიდა მისი ერთი ფოტო (გადაღებული აქვს სხვილოს ციხის მიდამოდან) და მის გამოყენებას გეგმავს საკუთარი ბრენდის სარეკლამო მიზნებისათვის.

*** რაკურსი მესამე — ჯიპკლუბჯორჯიელი და მისი წლევანდელი ჩანაფიქრი — ასტროფოტომონადირე საჭირო ადგილზე საჭირო დროს რომ აღმოჩნდეს, მისთვის აუცილებელია გადაადგილების თანამედროვე საშუალება, თორემ ქვეითი კაცი შორს ვერ წავა... ოთარისათვის ასეთ კონკრეტულ შემთხვევებში შეუცვლელია "ოთხფეხა" (ანუ ოთხბორბლიანი) მეგობარი "ჯიპ გრანდ ჩეროკი".

...საქართველოში "ჯიპის" ფირმის ავტომობილის რამდენი მფლობელია, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეში იციან. ბევრს არც ის სმენია, რომ ქვეყანაში ოფიციალურად არსებობს "ჯიპკლუბჯორჯია" (რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროში) და იგი აერთიანებს 20 წევრს. ოთარი გახლავთ კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი. მისი თანამოაზრეები არიან თბილისელი მეგობრები: დავით ბიჭიაშვილი, ნიკოლოზ დუდაშვილი და ნუკრი მამფორია.

ისინი, კლუბის უკლებლივ ყველა წევრი, ერთი ჰობით არიან გატაცებული: უყვართ მშობლიური მიწა-წყალი, ეთაყვანებიან ქართულ ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს — ეკლესია-მონასტრებსა და ციხე-კოშკებს. განვლილი თითქმის 7 წლის განმავლობაში არაერთი მხარის თვალსაჩინოება მოინახულეს და სიამოვნება-კმაყოფილება მიანიჭეს ოჯახის წევრებსაც, რადგან ისინი მათთან ერთად მოგზაურობენ. აგერ, 2020 წელს, არსებული პანდემსიტუაციური შეზღუდვების მოთხოვნების გათვალისწინებითა და სათანადო დაცვით, ისიც კი მოახერხეს, რომ სწვეოდნენ სამცხე-ჯავახეთსა და აჭარის მთიანეთს (3-დღიანი ავტოტურის ფარგლებში).

ოთარს ახლა წლევანდელი გეგმა ამოძრავებს და მისი ნიუანსები სულ წვრილმანებში გათვალა: თანაკლუბელ მეგობრებს საკასპელოში უნდა უმასპინძლოს და მოახილვინოს ტურისტული ობიექტები.

*** რაკურსი მეოთხე — "3-განზომილებიანი გრაფიკა": ზემოთ რამდენჯერმე ნახსენები "კოვიდ – 19"-ის "სახიფათო თამაშებმა", ცხადია, ასტროფოტომონადირესაც ხელფეხი შეუკრა და ჩაკეტილი სივრცის ბინადრად გადააქცია. მაგრამ ასეთ დროსაც, "ზოგი ჭირი მარგებელიას" პერიოდში, მაინც მოარგო გასაღები რთული პერიოდიდან თავის წილად გამოსადნობ სარგებელს. მან კომპიუტერული გრაფიკა გაიხადა პანდემსიტუაციურ თეატრად და ერთი მსახიობისათვის სამოქმედო სცენად. კერძოდ, სწორედაც კომპიუტერის შესაძლებლობით ქმნის ვირტუალურ "სპექტაკლებს" და ბარე ასამდე ასეთი "სცენა" შექმნა "3-განზომილებიანი გრაფიკის" ჩარჩოებში.

*** რაკურსი მეხუთე — სამსახურებრივ-პროფესიულ რელსებზე მორგული საჭირო კაცისა, საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე: მუდამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ოთარს ჯერაც ყმაწვილობისას გაუჩნდა, სასკოლო-საგნობრივი დისციპლინების — ფიზიკისა და მათემატიკის ლაბირინთებში სცადა საკუთარი ინტერესების მართვა. ამიტომ იყო, რომ უფროს კლასებში სახელმძღვანელოებს საზაფხულო არდადეგებზევე წინსწრებით ეუფლებოდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ინფორმატიკის სწავლება, ბედად, ჩვენშიც შემოიღეს. დიახ, კომპიუტერული ეპოქა ქართულ სინამდვილეში დაგვიანებით, მაგრამ მაინც შემოდიოდა.

ინფორმატიკის წმინდა პროგრამული მხარე — აი, რისი მიზნობრივი განჭვრეტით შეიტანა განცხადება უმაღლეს სასწავლებელში. ინფორმატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სამაგისტრო დიპლომი წარმატებით დაიცვა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. აქ ქართული ცემენტის წარმოების დიდი კოლექტივის წევრი გახდა. გაუმართლა იმ მხრივაც, რომ 2006 წლიდან "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" შემოსვლის შემდეგ დაიწყო თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ეტაპობრივი დანერგვა.

ამდენად, ახალბედა ინჟინერი სწორედაც რომ საჭირო ადგილზე გამწესდა და გახდა ცემენტის საწარმოს საზომ-საკონტროლო ზუსტი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის ზედამხედველი (ე. წ. "სუპერვაიზერი").

... და, აგერ, დღემდე იგი გახლავთ მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდამჭერი ინჟინერი (ადგილობრივ წარმოებაში კომპანიის კომპიუტერული ტექნიკის ქსელების მართვის კუთხით).

*** რაკურსი მეექვსე — აღმოაჩინეთ კასპი ფეისბუქგვერდში "აღმოაჩინე კასპი" — ორიოდე წლის უკან ოთარმა და მისმა აქაურმა მეგობრებმა შექმნეს ფეისბუქგვერდი ამ სახელწოდებით. საამისო იდეაც მისგან წამოვიდა და "ნათლიაც" თვითონაა...

ამ გვერდმა ნამდვილად გაამართლა. ოთარი და მისი ფეისბუქთანამოაზრე მეგობრები ფიქრობენ, რომ ჩვენთვისაც, თვითონ კასპელებისათვის, კასპი უამრავი რამით ჯერაც აღმოსაჩენი და გამოსაჩენია!

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

## გილოცავთ!



ამაგდარ და დამსახურებულ ქორეოგრაფს, 4 შვილის დედას, ღირსეულ ქართველს, ანსამბლ ,,მერიემის,, ხელმძღვანელს ქალბატონ მერი მამუკაძეს გულითადად ვულოცავ 70 წლის იუბილეს!

ძვირფასო მერი, შენ 50 წელია თაობები აღუზარდე ქართულ ქორეოგრაფიას, დღესაც ერთგულად ემსახურები ახალგაზრდების შემოქმედებით აღზრდას.

დაგროვილი გამოცდილება და ჩინებული ბუნება, ვიცი, მრავალ წარმატებას შემატებს შენს შემოქმედებით ცხოვრებას. ველოდები ახალ წარმატებებს. მრავალჟამიერ!

*ცეკვის აკადემია "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე.*

## გამოგვეხმაურეთ

*რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად, თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ განვლილი ცხოვრების ამსახველი, ისტორიის შემნახავი, წინაპრების ცხოვრების ამსახველი საინტერესო და სახალისო ფოტოები! ერთად გავიხსენოთ როგორი ცხოვრობდნენ, როგორ ვცხოვრობდით ...*

## ახალი სახელები



კომპანია ,,მაგთიკომის,, 2021 წლის აპრილის ფოტოკონკურსის გამარჯვებული ოთარ თაგვიაშვილის ფოტოები.



## გამოსათხოვარი

### ნანი მერაბაშვილი – მოსიაშვილი



მიმდინარე წელი ჩვენი გაზეთის არსებობის 90-ე წელი გახლავთ. ამ იუბილესთან დაკავშირებით გადაწყვეტილი გვაქვს, განსაკუთრებით, სახელდებით აღვნიშნოთ გაზეთის ერთგული მკითხველები, ხელმომწერები - ისინი, ვისი თანადგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და არის პროვინციაში გამომავალი გაზეთის არსებობისათვის.

დამოუკიდებელ საქართველოში ოქროს ფასი დაედო მკითხველსაც და ხელმომწერსაც. ეს ყოველივე კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ჩვენი წერილის გმირისათვის ნოემბერში გვინდოდა გაგვეხარებინა გული...

არ დაგვცალდა, მაგრამ სწორედ ახლა მთელი სიცხადით ვიგრძენით, როგორი დიდებული ქალბატონი დაკარგა ჩვენმა ქალაქმა...

ვინც მას პირადად იცნობდა დაგვეთანხმება, რომ ევროპულ სინამდვილეში ასეთ ქალბატონებს ქველმოქმედის ტიტულს უკითხავად ანიჭებენ, რადგან იციან, რა გულისხმიერება და სიყვარულია საჭირო მოყვასისათვის მუდმივი დახმარების რეჟიმში ცხოვრებისას.

დღემდე გვიკვირს, 4 შვილის დედა როგორ ახერხებდა ასე უშურველად, მშვიდად და თანმიმდევრულად სიკეთის კეთებას ან იქნებ იცოდა, რომ სწორედ ესაა - "გიყვარდეს მოყვასი შენი"...

მასთან ურთიერთობა გინდოდა გაგრძელებულიყო, რაც შეიძლება დიდხანს, ამ მიზიდულობას უხილავი კათარზისი მართავდა, მასთან ურთიერთობისას გამორიცხული იყო თუნდაც შემთხვევით გამოჩენილი გულგრილობის ალბათობა. ქალბატონ ნანის ზნეობის მაგალითი, პატიოსნებისა და რუდუნების მაგალითი ძნელად მიატოვებს ჩვენი ქალაქის თანამედროვეთა ცხოვრებას, აქაური ზემოქმედების სფეროს.

დახვეწილი გარეგნობის, ერთგული მეუღლე, სამი ვაჟიშვილისა და ერთი ქალიშვილის დედა, საქართველოს ნამდვილი ჭირისუფალი სამშობლოს მომავალს იმედით შეჰყურებდა.

მიმოვიხედოთ ირგვლივ და მიწამდე დავუხაროთ თავი ასეთ ქალბატონებს. ოცდამეერთე საუკუნეშიც ადამიანებში ისევ მარადიულ ღირებულებებს ვეძებთ და ვეთაყვანებით. ნანი დეიდა ახლა ზეციური საქართველოს მკვიდრია იქ, სადაც მართალნი განისვენებენ იქ, სადაც გარდაცვლილ შვილთან მიუწევდა გული...

თუ ცხოვრება ურთიერთობის ბედნიერებაა, მაშინ ბედნიერების ანბანა კარგ, ღირსეულ, სანდო, ერთგულ და მზრუნველ ადამიანებთან ურთიერთობა ყოფილა.

საშოვარს გადაგებულ სამყაროში დღემდე ოქრო უფრო ფასობს, ვიდრე ოქროს გული. თაკარა მზე უფრო თვალხილულად ანათებს, ვიდრე თვალებს მიღმა მოდარაჯე სიყვარული.

ქალბატონო ნანი, ჩვენ უკვე გვენატრება თქვენთან საუბარი, უკვე გვაკლია თქვენი მზრუნველობა...

დღეს ჩვენ, თქვენი ჭირისუფალნი, თვალხილულად ვხედავთ, როგორ სჭირდებოდით დღევანდელობას... თურმე, ჩვენს პრაგმატულ სინამდვილეშიც შეიძლება დაფასდეს დაკარგული სითბო.

განთიადელები.



### გოჩა კობაური

ორმოცი დღე შესრულდა 23 მაისს, რაც დაგვტოვე. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობით გადაიღალა შენი გული. გაჩერდა შენი სიცოცხლის საათი და მზეც სამუდამოდ ჩაგიქრა... უსაზღვროა შენი მონატრება...

დიდი გულისტკივილით გაგაცილეს თანამებრძოლებმა. შენ ხომ აფხაზეთში საქართველოს მთლიანობას და მშვიდობას იცავდი. კავშირს ამყარებდი ომისა და მშვიდობის ტიხარს იქით დარჩენილ ორივე მოსახლეობასთან, ჯარისკაცებთან... მეკავშირე ოფიცერს ორივე მხარეს იმედი მიგქონდა ადამიანებთან. იქნებ ამიტომაც გადარჩი ტყვიის წვიმაში! მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა ომის ვეტერანთა საქმეები ჩაიბარე და გულმოდგინედ ზრუნავდი მათზე. ბევრი კარგი ამბავი გაიხსენეს შენმა ფარაჯიანმა მეგობრებმა. მუდამ ვიამაყებთ შვილები შენი მამობით... გამოუცნობია ბედისწერის ლაბირინთები მამა, შენ და "მერაბიჩი" 22 ნოემბერს დაიბადეთ და ორივენი 14 აპრილს გარდაიცვალეთ!..

მსუბუქი იყოს ქართული მიწა, რომელიც დღეს გულზე საბნად გაფარია მშობლების გვერდით. ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა და ნათელში გვიმყოფოს შენი მართალი სული, მამა!

შვილი დარინა.

*რუბრიკა - წელიწადის ,,მეხუთე დრო,, ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გავაცნოთ ისინი საზოგადოებას.*

მამუკა ბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ნანი მერაბაშვილი-მოსიაშვილისა
და სამძიმარს უცხადებს უშანგი მოსიაშვილის ოჯახს.

ნანა მერაბაშვილი, გენადი ხაჩიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნანი მერაბაშვილი-მოსიაშვილისა
და სამძიმარს უცხადებენ უშანგი მოსიაშვილის ოჯახს.

ლია მენაბდიშვილი სამძიმარს უცხადებს უშანგი მოსიაშვილის ოჯახს
ნანი მერაბაშვილი-მოსიაშვილის გარდაცვალების გამო.

გოგი კაზაროვი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ნანი მერაბაშვილი-მოსიაშვილისა
და სამძიმარს უცხადებს უშანგი მოსიაშვილის ოჯახს.

ქეთევან მონასელიძე სამძიმარს უცხადებს უშანგი მოსიაშვილის ოჯახს
ნანი მერაბაშვილი-მოსიაშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერაბაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76